*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა (ბაკალავრიატი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - ივლისი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 31.07.2023

თბილისი
2023

## შინაარსი


I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 29

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი (პირველი საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 7 ივლისის № 685545 გადაწყვეტილება |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შესაფასებლად **არაგეგმიურ მონიტორინგზე** წარმოდგენილია ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. ექსპერტთა ჯგუფს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2023 წლის 30 მაისის ბრძანებით N620301, დაევალა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს **2023 წლის 16 თებერვლის No182950 სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.**

საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ხორციელდება სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ბაზაზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 7 ივლისს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი #0684746) მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით და მონიტორინგით. 2022 წლის 03 ოქტომბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ცენტრში წარადგინა "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. 2022 წლის 31 ოქტომბერს კი ჩატარდა პროგრამის გეგმიური მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები საბჭომ განიხილა 2023 წლის 16 თებერვალს და აკრედიტაციის საბჭოს ოქმის საფუძველზე (№182950 16/02/2023) დაწესებულებას გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად განუსაზღვრა არაუმეტეს 60 დღისა.

საგანმანათლებლო პროგრამა გადამუშავდა და მასში უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით აისახა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 თებერვლის No182950 სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS). საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულ კრედიტებს. საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისათვის გათვალისწინებულია 225 კრედიტი და თავისუფალი კომპონენტებისათვის 15 კრედიტი.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს – 213 ECTS კრედიტი (მათ შორის სამეწარმეო პრაქტიკას – 10 ECTS კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას –15 ECTS კრედიტი) და არჩევით სასწავლო კურსებს – 12 ECTS კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი შედგება ჰუმანიტარული

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სასწავლო კურსებისაგან (3 კრედიტი) და სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებისაგან 1 და 2 (შესაბამისად 4 და 5 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგი, კერძოდ პროგრამის 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 2.2 და 5.3 სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა ჯგუფის წევრებზე დავალებები. დოკუმენტების შესწავლის პროცესში ექსპერტებს ჰქონდათ ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია დისტანციურად: ცვლიდნენ ინფორმაციას წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების შესახებ, აჯერებდნენ კონკრეტულ ბუნდოვან საკითხებს, უზიარებდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე.

მუშაობის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტები:

1. ამჟამად მიმდინარე სემესტრში დამტკიცებული საბაკალავრო ნაშრომების თემების ჩამონათვალი ხელმძღვანელის მითითებით და ხელმძღვანელების CV-ები;
2. 2023 წელს დაცული საბაკალავრო ნაშრომები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. განახლებული/გადამუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი/გეგმა;
4. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი/ საბაკალავრო ნაშრომების შესრულებისა და დაცვის ინსტრუქცია;
5. პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სილაბუსები და პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლთა გადაცემაც ექსპერტთა ჯგუფისთვის ტექნიკური ხარვეზის გამო თავიდანვე ვერ მოხერხდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

არაგეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ:

- სრულ შესაბამისობაშია - 1.4 და 5.3 ქვესტანდარტები,
- მეტწილ შესაბამისობაშია - 1.2, 1.3, 1.5, და 2.2 ქვესტანდარტები,

- **რეკომენდაციები**

  - საჭიროა შედეგებში აქცენტი გაკეთდეს სამეწარმეო ბიზნესზე ნაცვლად სატრანსპორტო და სამრეწველო კომპანიებისა. პროგრამის კურუკულუმი ისეა აწყობილი, რომ რეალურად პროგრამის სტუდენტი სამწარმეო ბიზნესში იძენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ამიტომ, შედეგების დაკორექტირება მარტივად არის შესაძლებელი, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ ერთის მხრივ პროგრამის მიზანთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, მეორეს მხრივ კი იმ ცოდნასთან, უნარებთან, ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობასთან, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
  - მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტის მოდიფიცირება მასში შესაბამისი სწავლის შედეგებისათვის შეფასების არაპირდაპირი მეთოდების შემუშავებით.

- o მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, დაკორექტირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდნენ სასწავლო კურსის სპეციფიკას;
- o მეტი ყურადღებით შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომების თემები, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o უმჯობესია სასწავლო კურსების „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1“ და „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2“ სახელწოდებების ფორმულირება მოხდეს როგორც „მათემატიკა ბიზნესისთვის 1“ და „მათემატიკა ბიზნესისთვის 2“.
- o სასურველია სტუ-მა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით მოხდინოს საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება
- o

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უსდ-ს მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ I, II და V სტანდარტების ფარგლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2022 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2023 წლის 16 თებერვლის სხდომაზე (ოქმი #182950) დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა არაუმეტეს 60 კალენდარული დღე შემდეგი რეკომენდაციების შესასრულებლად:

1. მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებება ისე, რომ იგი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მენეჯმენტის ბაკალავრის აუცილებელი, მინიმალური, კომპეტენციებით, რაც დადგენილია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი დოკუმენტით. პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ის სპეციფიკური უნარები და კომპეტენციები, რომლის შეძენის

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

შესაძლებლობაც რეალურად აქვს სტუდენს პროგრამის დასრულებით; (რეკომენდაცია შესრულდა ნაწილობრივ)

2. დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, განსაკუთრებით კი ის სასწავლო კურსები, რომელთაც აქვთ განმტკიცების მე-3 დონე. (რეკომენდაცია შესრულებულია)
3. საჭიროა ინგლისური ენის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო წესით სწავლება, სხვა ენები კი უნდა გადავიდეს არჩევით კომპონენტში. უსდ-მ სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ ჩაუბარებიათ ინგლისური ენა, პროგრამის ფარგლებში შესთავაზოს ერთსემესტრიანი კურსი დამწყებთათვის, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს ინგლისური ენა 1-ზე სწავლის გაგრძელებას (რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა;
4. პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსები: „დარგობრივი ინგლისური“, „საგადასახადო საქმე“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „ბიზნეს ეთიკა“ და „გაყიდვების მენეჯმენტი“; (რეკომენდაცია შესრულებულია)
5. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ:
   - ფინანსების საფუძვლებს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები დაშვების წინაპირობად არ სჭირდება. ეს სასწავლო კურსი შეიძლება დაშვების წინაპირობის გარეშეც იქნას შეთავაზებული;
   - ფინანსურ აღრიცხვას და მმართველობით აღრიცხვას არასწორად აქვს ფინანსების საფუძვლები მითითებული დაშვების წინაპირობად. ფინანსურ აღრიცხვაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვა, ხოლო თავად ფინანსური აღრიცხვა კი უნდა განისაზღვროს მმართველობით აღრიცხვაზე დაშვების წინაპირობად;
   - საბანკო და სადაზღვევო საქმის ორგანიზაციის სასწავლო კურსზე დაშვების პირობად ფირმის მენეჯმენტის ნაცვლად განისაზღვროს ფინანსების საფუძვლები; (რეკომენდაცია შესრულებულია)
6. მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების ერთგვაროვანი მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების დაკორექტირება ისე, რომ თითოეული სასწავლო კურსის შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას; (რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული)
7. მოხდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურის ჩანაცვლება დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურით. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ძირითადად ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურით სწავლება; (რეკომენდაცია შესრულებულია)
8. სასწავლო კურსის „ინვესტიციები სამეწარმეო ბიზნესში“ შინაარსი და სახელწოდება მოვიდეს შესაბამისობაში. საჭიროა თემატიკის იმგვარად დაკორექტირება, რომ სამეწარმეო ბიზნესის სპეციფიკა იყოს გათვალისწინებული; (რეკომენდაცია შესრულებულია)

9. მეტი ყურადღებით შეირჩეს საბაკალავრო ნაშრომების თემები, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას; (რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია)
10. მეტი ყურადღება დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის დროს სტუდენტთა მიერ კვლევების ჩატარებას და რელევანტური, უახლესი ლიტერატურის გამოყენებას, რათა ნაშრომები აკმაყოფილებდნენ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრულ მოთხოვნებს; (ვერ მოხერხდა რეკომენდაციის შესრულების შემოწმება, რადგან ახალი საბაკალავრო ნაშრომები გეგმიური მონიტორინგის შემდგომ არ ყოფილა დაცული)
11. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით მოხდეს საბაკალავრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება; (რეკომენდაცია არ არის შესრულებული)
12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააძლიეროს პროგრამის ხელმძღვანელებთან/განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობა, რათა ეფექტურად მოხდეს პოტენციური გამოწვევების გამოვლენა, განსაკუთრებული ფოკუსირება მოახდინოს სწავლის შედეგების ფორმირებაზე, სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებაზე, სწავლების შეფასების ადეკვატურობაზე (რეკომენდაცია შესრულებულია)

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ფაკულტეტის ვებ-გვერდზე აიტვირთოს პროგრამის განახლებული ვერსია.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

#### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ ითვალისწინებს 10 სწავლის შედეგის მიღწევას:

- **განმარტავს** მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებსა და სამეწარმეო ფირმების ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს უახლესი ცოდნის ასპექტებზე დაყრდნობით;
- **აღწერს** სამეწარმეო ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებს და მათ ეკონომიკურ გარემოს, სატრანსპორტო და სამრეწველო ფირმებში მიმდინარე მოვლენებს, პროცესებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
- **მოიძიებს** და **ამუშავებს** მონაცემებს სატრანსპორტო და სამრეწველო ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს შესახებ და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- **იყენებს** სატრანსპორტო და სამრეწველო ორგანიზაციის რესურსებს მართვისთვის შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- **მონაწილეობს** სამეწარმეო ფირმების პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში;
- განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, ეთიკური პრინციპების დაცვით, **ასრულებს** მენეჯერულ ფუნქციებს;
- **იყენებს** საქმიანი სფეროსთვის დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს სატრანსპორტო და სამრეწველო ფირმებში რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის;
- **ამყარებს** კომუნიკაციას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ქართულ და უცხოურ ენაზე;
- **შეუძლია** კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის და ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- **ახდენს** როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამის სწავლის შედეგებიდან არ ჩანს ცხადად, თუ რა ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას შეიძენს სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ.

კერძოდ, ზოგიერთ შედეგში აქცენტი გაკეთებულია კონკრეტულად სატრანსპორტო და სამრეწველო კომპანიებზე, ნაცვლად ზოგადად სამეწარმეო ორგანიზაციებისა. მართალია პროგრამა ხორციელდება სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე, მაგრამ პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. საჭიროა შედეგებში აქცენტი გაკეთდეს სამეწარმეო ბიზნესზე ნაცვლად სატრანსპორტო და სამრეწველო კომპანიებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის კურუკულუმი ისეა აწყობილი, რომ რეალურად პროგრამის სტუდენტი სამწარმეო ბიზნესში იძენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ შედეგების დაკორექტირება მარტივად არის შესაძლებელი, რათა ისინი

შესაბამისობაში მოვიდნენ ერთის მხრივ პროგრამის მიზანთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, მეორეს მხრივ კი ცოდნასთან, უნარებთან, ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობასთან, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

- საჭიროა შედეგებში აქცენტი გაკეთდეს სამეწარმეო ბიზნესზე ნაცვლად სატრანსპორტო და სამრეწველო კომპანიებისა. პროგრამის კურუკულუმი ისეა აწყობილი, რომ რეალურად პროგრამის სტუდენტი სამწარმეო ბიზნესში იძენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ამიტომ, შედეგების დაკორექტირება მარტივად არის შესაძლებელი, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ ერთის მხრივ პროგრამის მიზანთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, მეორეს მხრივ კი ცოდნასთან, უნარებთან, ან/და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობასთან, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შედეგებთან და პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქა, რომელიც აჩვენებს თუ რომელი სასწავლო კურსით/კურსებით ხდება პროგრამის შედეგებზე გასვლა.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას აძლევს საშუალებას, განახორციელოს მონიტორინგი და რომელიც შემდგომში გამოიყენება პროგრამის შედეგების გასაუმჯობესებლად.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები. ამასთან ყველა შედეგის მიღწევის შეფასების ინსტრუმენტი/მტკიცებულება ერთნაირია და სტანდარტულად მოიცავს მხოლოდ პირდაპირ მტკიცებულებებს:

- მიმდინარე შეფასების შედეგები
- შუაალდეური შეფასების შედეგები
- დასკვნითი გამოცდის შედეგები
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების არაპირდაპირი მეთოდები გამოყენებული არ არის. ამავე დროს მე-7 და მე-10 სწავლის შედეგებში მოცემული უნარების შეფასება (იყენებს საქმიანი სფეროსთვის დამახასიათებელ შემეცნებით და პრაქტიკულ უნარებს სატრანსპორტო და სამრეწველო ფირმებში რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის; ახდენს როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში) მოითხოვს შეფასების ისეთი არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებას, როგორებიცაა დამსაქმებლის გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და სხვ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო პროგრამა;
- სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

რეკომენდაციები:

- მოხდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტის მოდიფიცირება მასში შესაბამისი სწავლის შედეგებისათვის შეფასების არაპირდაპირი მეთოდების შემუშავებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხი.

კრედიტები განაწილებულია შემდეგი პრინციპით:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 213 კრედიტი (მათ შორის სამეწარმეო პრაქტიკა – 10 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვას –15 კრედიტი);
- არჩევით სასწავლო კურსები – 12 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი შედგება ჰუმანიტარული სასწავლო კურსებისაგან (3 კრედიტი) და სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებისაგან (9 კრედიტი);
- თავისუფალი კომპონენტები - 15 კრედიტი.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების რაოდენობა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს, მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (მას შემდეგ, რაც მოხდება შედეგების დაკორექტირება და სატრანსპორტო და სამრეწველო ორგანიზაციების ნაცვლად

ჩაიწერება სამეწარმეო ბიზნესი) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები მეტწილად თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ადეკვატურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქა;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართით.

თითოეული სასწავლო კურსის და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციათა მეექვსე დონეს. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები.

თუმცა გადასახედია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რათა მეტად იყოს გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა. მაგ:

სასწავლო კურსში „საგადასახადო საქმე“ შუალედური გამოცდა ფასდება მხოლოდ სამი 10-ქულიანი თეორიული საკითხით, ხოლო ფინალური გამოცდა რვა 5-ქულიანი დახურული ტესტით;

სასწავლო კურსში „ფინანსური აღრიცხვა“ შუალედური გამოცდა ფასდება მხოლოდ სამი 10-ქულიანი თეორიული საკითხით, ხოლო ფინალური გამოცდა ოთხი 10-ქულიანი დახურული ტესტით;

ანალოგიურად მეთოდები და კრიტერიუმებით ხდება შუალედური და ფინალური გამოცდების შეფასება სასწავლო კურსში „მმართველობითი აღრიცხვა“

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე არ შეიძლება “კორპორაციების ფინანსების“ სასწავლო კურსის შუალედური და ფინალური გამოცდები ფასდებოდეს მხოლოდ ღია კითხვებით;

და სხვ.

სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია მენეჯმნეტის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

გვაქვს რჩევა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდებასთან მიმართებაში. კერძოდ,

- უმჯობესია სასწავლო კურსების „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1“ და „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2“ სახელწოდებების ფორმულირება მოხდეს როგორც „მათემატიკა ბიზნესისთვის 1“ და „მათემატიკა ბიზნესისთვის 2“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;

რეკომენდაციები:

- მოხდეს სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, განსაკუთრებით შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების, დაკორექტირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდნენ სასწავლო კურსის სპეციფიკას;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესია სასწავლო კურსების „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1“ და „მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2“ სახელწოდებების ფორმულირება მოხდეს როგორც „მათემატიკა ბიზნესისთვის 1“ და „მათემატიკა ბიზნესისთვის 2“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

